სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალება:	კონკურსი
შესყიდვის ობიექტის დასახელება:	საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო კომისიის სხდომის ო ქ მ ი # 4

თბილისი 27.10.2014წ.

თემა: საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N 1325-ე კონკურსზე, შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზის" მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

თავმჯდომარის პირველი მოადგილე	ნ. გასვიანი

საკონკურსო კომისიის წევრები:

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	ი. ლითანიშვილი
საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი	გ. ამბრიაშვილი
ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი	დ. ჯაგაშვილი
იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილის მ/შ	მ. ცენტერაძე
გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი	ო. ხატიაშვილი
გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი	ა. გვაზავა
გზების განვითარების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამმართველოს უფროსი	ბ. მინჯორაია
გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მ/შ	თ.გერგაია
ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსი	თ. კაპანაძე
საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი	ვ. რაზმაზე
განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსის მ/შ	გ. რევაზიშვილი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი	შ. ხალვაში
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე	ლ. როსტომაშვილი

მსვლელობა: 2014 წლის 21 ოქტომბერს, საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების (ოქმი N 3) შესაბამისად, შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზას" წერილობით (N 2-08/7119 – 21.10.2014) ეთხოვა, 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, საავტომობილო გზების დეპარტამენტში, წერილობით წარმოედგინა, საკონკურსო განცხადების 10.5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილ ინფორმაციაში არსებულ **სამ** პოზიციაზე: **„საფუძვლის დეფორმაციის მოდულის საზომზე", „ბეტონის სიმტკიცის საზომ ხელსაწყოზე"** და **„მაღალი განმავლობის სატრანსპორტო საშუალებაზე"** (წარმოდგენილ ორი ერთეულიდან ერთერთზე - Nissan Navara ან Hundai Galloper) შესაბამისი **საიჯარო ხელშეკრულებები**, რომლის წარმოდგენის შემდგომ კომისია საბოლოოდ განიხილავდა პრეტენდენტის ტექნიკურ დოკუმენტაციას. ამასთან, კონკურსანტს ეცნობა, რომ დადგენილ ვადაში წარმოდგენილი ინფორმაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის თანახმად, განხორციელდებოდა შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზის" დისკვალიფიკაცია აღნიშნული კონკურსიდან.

კომისიაზე წარმოდგენილ იქნა, შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზის" მიერ 2014 წლის 23 ოქტომბერს, დეპარტამენტში წერილობით (N 80/01 – 23.10.2014) წარმოდგენილი ინფორმაცია, საიჯარო ხელშეკრულებების შესახებ. კერძოდ, პრეტენდენტმა წარმოადგინა ორი ხელშეკრულება **„მაღალი განმავლობის სატრანსპორტო**

საშუალებაზე" (Nissan Navara და Hundai Galloper), რომლებიც გაფორმებულია ფიზიკურ პირებთან, გიორგი ჭეიშვილთან (Nissan Navara – DA-001-DU) და ნუგზარ დალაქიშვილთან (Hundai Galloper – NNC – 060). რაც შეეხება დანარჩენ ორ პოზიციას: **„საფუძვლის დეფორმაციის მოდულის საზომს"** და **„ბეტონის სიმტკიცის საზომ ხელსაწყოს"** პრეტენდენტს მათზე საიჯარო ხელშეკრულებები არ წარმოუდგენია.

შედეგად, პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის და საკონკურსო განცხადების 10.5 პუნქტის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გათვალისწინებით, კომისიას მიეცა რეკომენდაცია, შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზის" აღნიშნული კონკურსიდან დისკვალიფიკაციის შესახებ.

გადაწყვეტილება: საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელა რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანებით და „საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N 1325-ე კონკურსის" პირობებით დაადგინა:

1). საკონკურსო განცხადების 10.5 პუნქტით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გათვალისწინებით, საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის თანახმად, შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა" დისკვალიფიცირებულ იქნას აღნიშნული კონკურსიდან და უკან დაუბრუნდეს ფინანსური წინადადების პაკეტი, გაუხსნელად, კონკურსის დასრულების შემდეგ. კომისიის გადაწყვეტილება შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზას" ეცნობოს წერილობით.

2). დაევალოთ კომიიის წევრებს განახორციელონ" შპს „საქგზამეცნიერების" და შპს „პროექტმშენკომპანის" მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება და მისი წარმოდგენა კომისიის მორიგ სხდომაზე.

3). დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ლ. როსტომაშვილს, გამოსაქვეყნებლად, უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ნუგზარ გასვიანი

ირაკლი ლითანიშვილი

ოთარ ხატიაშვილი

ბეჟან მინჯორაია

მარიამ ცენტერაძე

დემურ ჯაგაშვილი

გივი ამბრიაშვილი

ავთანდილ გვაზავა

თეიმურაზ გერგაია

თეიმურაზ კაპანაძე

ვახტანგ რაზმაძე

გრიგოლ რევაზიშვილი

ლევან როსტომაშვილი

შაქრო ხალვაში

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

27 ოქტომბერი, 2014 წელი

შესასყიდი ობიექტის დასახელება	საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევა

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, „საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების" N 1325 კონკურსის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრი:

მარიამ ცენტერაძე მ. ცენტერაძე